# 8 აგვისტო—ფიზკულტურელის საკავშირო დღე

# ღირსეულად შევხვდეთ ჩვენს დღესასწაულს!

8 აგვისტოს ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების, ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების მრავალმილიონიანი არმიის, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ზეიმია: ამ დღეს აღინიშნება ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ეს თარიღი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წინ უსწრებს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს, რომელშიც წარმატებით მონაწილეობისთვის გაცხოველებით ემზადებიან ფიზკულტურული ორგანიზაციები, ოლიმპიური გუნდების კანდიდატები — ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები. წლევანდელი დღესასწაული საიუბილეო ც არის, — 25 წლის წინათ, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, პირველად იქნა აღნიშნული ფიზკულტურელის საკავშირო დღე.

მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განუზომლად დიდი ცვლილებები მოხდა. სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებულ იქნა არნახული გამარჯვებები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კულტურასა და მეცნიერებაში... პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ფიზკულტურა და სპორტი, როგორც საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, ფართოდ დაინერგა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამან, რასაკვირველია, შესანიშნავი ნაყოფიც გამოიღო.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვი. ბრწყინვალე გამარჯვებები იქნა მოპოვებული საერთაშორისო სარბიელზე.

სამამულო სპორტის მძლავრ წინსვლაში უაღრესად თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, სპორტსმენებს, რომელთა დაუღალავი საქმიანობით საქართველო ერთ-ერთ მოწინავე სპორტულ რესპუბლიკად გვევლინება საბჭოთა კავშირში.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოში სპორტის შემდგომი აყვავების საკითხებზე. დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოფლად და ქალაქად საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტულ ნაგებობათა ფართო ქსელის მშენებლობის, ფიზიკური კულტურის კოლექტივების განმტკიცების, ფიზკულტურულ მეცადინეობაში მოსახლეობის მაქსიმალური მიზიდვის, ბავშვებთან, სტუდენტ ახალგაზრდებთან მუშაობის გაუმჯობესების, სპორტის ჩამორჩენილ სახეობებში მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების საკითხებს.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება.

ჩვენ ფართოდ უნდა აღვნიშნოთ ფიზკულტურელის საკავშირო დღე—საჭიროა ახალგაზრდობისთვის მოეწყოს ლექცია-მოხსენებები, საუბრები, სპორტული საღამოები, ფიზკულტურული აღლუმები და სხვადასხვა ასპარეზობანი სტადიონებსა და მოედნებზე.

შრომასა და სპორტში მაღალი წარმატებებით შევხვდეთ ჩვენი ახალგაზრდობის დღესასწაულს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს! — ასეთია სადღეისო ამოცანა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 152 (2515) • შაბათი, 4 აგვისტო, 1964 წ. • ფასი 3 კაპ.

## ბრწყინვალე გამარჯვება

სპორტული თავთავი

### 1. თბილისის უნივერსიტეტი, 2. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

**რიგა, 2 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.).** შეჯიბრება ტანვარჯიშულ მრავალჭიდში აღინიშნა მოსკოველ სტოიდას გამარჯვებით — 112,05 ქულა. მეორე ადგილზეა ლებედევი — 111,2 ქ. მესამეზე — კორჟი (110,65 ქ.). თბილისის უნივერსიტეტელი ბალიაური 110,2 ქულით IV ადგილზე დარჩა. ქალთა შორის გაიმარჯვა კიეველმა პალამარჩუკმა — 74,8 ქულა.

ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის — პალამარჩუკი (ძელი, თავისუფალი ვარჯიში) და ტეპლოვა (ორძელი, ბჯენითი ხტომები); ვაჟთა შორის — სტოიდა (ბჯენითი ხტომები, ტაიჭი, რგოლები), კორჟი (ღერძი), პანფიოროვი (ორძელი) და კოსტინი (თავისუფალი ვარჯიში). ქართველი სპორტსმენებიდან ბანძელაძე მესამე იყო ბჯენით ხტომებში, ხოლო ბალიაური — მეოთხე — ტაიჭზე.

ფრენბურთში ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის ადგილები ასე განაწილდა: ვაჟები — 1. აზერბაიჯანი, 2. მოსკოვი, 3. საქართველო; ქალები — 1. ლენინგრადი, 4. საქართველო.

ჰუმანიტარულ და ტექნიკურ სასწავლებლებს შორის, ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟებს ჩემპიონობა განაღდებული აქვთ. ქალთა შორის გაიმარჯვეს მოსკოვის ტრანსპორტის ინსტიტუტის ფრენბურთელებმა

**საერთო გუნდურ ჩათვლაში ჰუმანიტარულ და ტექნიკურ სასწავლებლებს შორის პირველ ადგილზე არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები, ხოლო მეორეზე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები.**

**ო. ქორქია,**
**სპორტის ოსტატი.**

### ჩვენები — IV ადგილზე

ფიზკულტურის ინსტიტუტების ჯგუფში საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა მოსკოვის კოლექტივმა. მეორე ადგილზე არიან კიეველები, მესამეზე — ლენინგრადელები.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაიკავა IV ადგილი, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ასპარეზობაში მონაწილეობდა 16 კოლექტივი.

## ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით ვრცელდება ფულადი და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთები




ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება სპორტკავშირებში, „საქწიგნის" მაღაზიებსა და „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.




◆ ლოს-ანჯელოსი (კალიფორნიის შტატი). აშშ-ის მოცურავეთა ჩემპიონატის ბოლო დღეს დამყარებულ იქნა კიდევ 2 მსოფლიო რეკორდი. მელბურნისა და რომის ოლიმპიადების ჩემპიონმა, ავსტრალიელმა მ. როუზმა (ამჟამად იგი შეერთებულ შტატებში სწავლობს) 1.500 მ თავისუფალი სტილით გაცურა 17 წუთსა და 1,8 წამში, რაც 3,7 წამით უმჯობესია ამერიკელი რ. საარის ძველ მიღწევაზე. 15 წლის მოსწავლე გოგონამ შ. სტაუდერმა 200 მ ბატერფლაით ცურვაში გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი. მისი შედეგია 2.26,4. ასპარეზობისას სულ დამყარდა 9 მსოფლიო და რამდენიმე ეროვნული რეკორდი.

◆ ირკუტსკი, 3 აგვისტო. ადგილობრივი ველოტრეკის ფიცარნაგზე კვლავ ისახელა თავი ხარკოვის ველოქარხნის ინჟინერ - მექანიკოსმა ირინე კირიჩენკომ. 500 მ სვლით მან გაიარა 37,6 წამში, რაც 0,4 წამით უკეთესია მის მიერ წინა დღით დამყარებულ საკავშირო რეკორდზე.

◆ აპოლდი (გდრ), 3 აგვისტო. აქ გაიმართა მოტოკროსში (250 კბ სმ მანქანებით) მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა მოსკოველი ვ. არბეკოვი, რომელმაც მოიპოვა გდრ-ის დიდი პრიზი. ახლა არბეკოვი გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზეა (ბელგიელი ჟ. რობერისა და შვედი ტ. ხალმანის შემდეგ).

## ვიშის კორტებზე

### საბჭოთა ჩოგბურთელები — ფინალში

გალეას თასის ნახევარფინალში საბჭოთა და გფრ-ის ჩოგბურთელთა მატჩის დროს, როცა ანგარიში 2:0 იყო ჩვენი სპორტსმენების სასარგებლოდ, კორტზე გამოვიდნენ წყვილები. ა. მეტრეველმა და ა. ივანოვმა ეს შეხვედრაც მოიგეს და ანგარიში გახდა 3:0. ვინაიდან საერთო გუნდური გამარჯვება განაღდებული იყო, კორტზე გამოვიდნენ სათადარიგო მოთამაშეები — პ. ლამპი და ვ. კოროტკოვი. მათ წააგეს (შესაბამისად) პლიოტცთან და ვეინმანთან, მაგრამ ამას საბოლოო შედეგისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ჩეხოსლოვაკელების უპირატესობა უნგრელებზე აშკარა იყო. მათ „მშრალი" ანგარიშით (5:0) დაამარცხეს მეტოქეები.

ამრიგად, გალეას თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამ პრიზის ახლანდელი მფლობელები — ჩეხოსლოვაკელები და საბჭოთა ჩოგბურთელები (საინტერესოა, რომ ჩვენები წელს მეხუთედ გავიდნენ გალეას თასის ფინალში და ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს გათამაშების წარმატებით დაგვირგვინება).

პირველივე შეხვედრებმა ნათელი გახადა, რომ საპატიო ნადავლის მოპოვებისთვის ბრძოლა ამჯერადაც უაღრესად დაძაბული იქნებოდა. ასეც მოხდა. ა. მეტრეველმა მწვავე ასპარეზობის შემდეგ ძლია ი. კოდეშს — 6:3, 6:3, 4:6, 17:15 (!), ხოლო ა. ივანოვმა წააგო ს. კოუდელკასთან — 6:4, 8:10, 6:8, 2:6.

ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

## გადრო — 64,55 მეტრზე!

პრაღა, 3 აგვისტო. (საკდეხი). ჩეხოსლოვაკელმა სპორტსმენმა ლუდვიკ დანეკმა ერთბაშად მეტრნახევარზე მეტით გააუმჯობესა ამერიკელ ა. ორტერის მსოფლიო რეკორდი ბადროს ტყორცნაში. დანეკის ნატყორცნმა ბადრომ 64 მეტრი და 55 სანტიმეტრი „იფრინა".

## ბრუმელის ახალი მეტოქე

სულ ახლახანს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ცნობა, რომ პოლონელმა მძლეოსანმა ე. ჩერნიკმა დაამყარა თავისი რესპუბლიკის ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 218 სმ.

და აი, გასულ შაბათს ე. ჩერნიკმა, რომელიც გამოდიოდა შვეციის ქალაქ ჰასლეჰოლმში გამართულ შეჯიბრებაზე, გადალახა 220 სმ. ასე რომ, მსოფლიო რეკორდსმენს — ვ. ბრუმელს გამოუჩნდა კიდევ ერთი ახალი მეტოქე, ამჯერად ე. ჩერნიკის სახით.

## სამშობლოს უკეთ სამსახურისთვის

აგვისტო აბიტურიენტთა ციებ-ცხელების თვეა. ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ათასი გოგონა და ჭაბუკი უმაღლესი სასწავლებლების კარებს მიაშურებენ, რათა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა თუ ადამიანთა საქმიანობის სხვა რომელიმე სფეროს ცოდნის დაუფლების შემდეგ სურთ საყვარელ სამშობლოს მოახმარონ თავიანთი ნიჭი და ენერგია. ჩვენი დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების კარები ფართოდაა ღია ყველა იმათთვის, ვინც დროს არ იშურებს და ცოდნით შეიარაღებული კვლავ მიისწრაფის ადამიანის გონების მიერ შექმნილ საწაულთა უფრო ღრმად ათვისებისაკენ. ადამიანებს ოდითგანვე ახასიათებდათ მისწრაფება ფიზიკური სრულყოფილებისაკენ, რადგან ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, ხოლო ეს საწინდარია ადამიანის ნიჭის სრულყოფილად გაშლისა. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებს, ყოველთვის იგრძნობა ჯანმაგარი გოგონებისა და ჭაბუკების სიმრავლე. ამ უმაღლეს სასწავლებელში მრავალი მასწავლებელია, რომლებიც თავის დროზე წარმატებით გამოდიოდნენ არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც.

ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა არმიაში სამსახურიდან შვებულებაში მყოფი ა. კაკაურიძე მისაღებ გამოცდას აბარებს ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის უფროს მასწავლებელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. ქლენტსა და ფიზაღზრდის თეორიის კათედრის მასწავლებელს შ. ბუაძეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# ქუთაისისა თუ საქართველოს პირველობა?

ქუთაისში დანიშნული იყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა შვილდოსნობაში. მასპინძელთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, დუშეთის და სხვათა გუნდებს, მაგრამ ქუთაისელების მეტმა ვერავინ შეძლო გუნდების გამოყვანა, ხოლო თითო სპორტსმენით წარსდგნენ ტურნირზე ტყიბული და წყალტუბო.

ყოველივე ამის გამო შეჯიბრება გაიმართა მხოლოდ ქუთაისის ორ გუნდს შორის. მუხნარის ტყეში პირველად ბრძოლაში ჩაებნენ 90 მეტრზე მსროლელი ვაჟები. თავიდანვე დაწინაურდნენ რესპუბლიკის 1962 წლის ჩემპიონი გ. გოშაძე, აგრეთვე ზ. ამბროლაძე და რ. ტაბიძე. გამარჯვება წილად ხვდა ზ. ამბროლაძეს, რომელმაც 91 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ტაბიძემ და გოშაძემ.

მეორე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ ქალები. პროგრამაში იყო სროლა 60 და 70 მეტრზე. პირველი ადგილები შესაბამისად მოიპოვეს მ. ცხოვრებოვამ და ე. სუპატაშვილმა. ვაჟთა 70-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო იყო ჯ. არსენიძე.

შეჯიბრება 30 და 50 მეტრზე სროლაში ჩატარდა „დინამოს" სტადიონზე. პროგრამის ორივე სახეობაში გამარჯვება არავის დაუთმეს ცხოვრებოვამ და არსენიძემ. ეს სპორტსმენები გახდნენ რესპუბლიკის ჩემპიონები ყველა დისტანციის ჯამშიც.

გაკვირვებას იწვევს ტურნირისადმი სხვა გუნდების, განსაკუთრებით თბილისელთა დამოკიდებულება. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამოკრული აფიშები იტყობინებოდნენ თბილისის პირადი პირველობის ჩატარებას. შეჯიბრების ორგანიზატორები ალბათ ფიქრობდნენ, რომ საკმარისია მხოლოდ აფიშების გამოკვრა, და სპორტსმენები თავიანთი ნებასურვილით გამოცხადდებიან შეჯიბრებაზე. ვარაუდი არ გამართლდა, — ჩემპიონატი არ შედგა. თავში გაფუჭებული საქმე ვერც შემდგომ გამოაკეთეს: ვერ შეძლეს გუნდის დაკომპლექტება და ქუთაისში მისი მივლინება.

შვილდოსნობამ უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, საქალაქო და რაიონული სპორტკავშირების გულგრილი დამოკიდებულების გამო, საქართველოში იგი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს სათანადო პოპულარობით.

ქუთაისის ტურნირში გამოვლენილ უძლიერესთაგან დაკომპლექტებული რესპუბლიკური ნაკრები მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობის გათამაშებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

ა. მინდიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
ლ. ფაჩუაშვილი
(ჩვენი კორ.).

* * *





სურათებზე: მარცხნივ — დაისრულ ფართან. მარჯვნივ — ქალებმა შვილდი მოზიდეს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა, ქუთაისი.

# მწვანე პლანტაციებსა და სპორტულ მოედნებზე...

ზაფხულის დღეებში, ამ ფიცხელი მუშაობის დროს ძნელია ვინმე დირექციაში ნახოთ, ყველა „მწვანე ოქროს" პლანტაციებშია გასული. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეჩაიეებს შებინდებისას ვეწვიეთ და არც შევმცდარვართ. ინგირის ჩაის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორი ს. ებრალიძე სამუშაო კაბინეტში აქტივთან ერთად განვლილი დღის შედეგებს აჯამებდა და მეორე დღის გეგმებს ადგენდა.

მასპინძელმა როცა ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, მე-4 კომპლექსურ-მექანიზირებული უბნის მმართველს, აგრონომ ანზორ ბიგვავას გადახედა და თან დააყოლა:

—აი, ჩვენი მარჯვენა ხელი. კაცი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ტექნიკას—ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს". ახალგაზრდაა, მაგრამ გამოცდილი მეურნის თვალი და გული აქვს. დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში...

ჭაბუკი ბევრ საქმეს ეჭიდება და დროც მეტად შეზღუდული აქვს, მაგრამ იგი სპორტულ საქმიანობასაც ეწევა—ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოსა და ძალოსანთა სექციას ხელმძღვანელობს.

რაკი სიტყვა ანზორ ბიგვავაზე და ძალოსნობის სექციაზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ 6 წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა ფრიად ხელშესახებია. სექციაში ადრე თუ თითო-ოროლა წევრი ვარჯიშობდა, ახლა აქაური ძალოსნები სხვა სექციების წარმომადგენლებს ტოლს არ უდებენ არც მასობრიობასა და არც შედეგებში. ხაშან ანზორის მიერ მომზადებულმა გუნდმა კოლმეურნე ძალოსანთა რესპუბლიკურ ასპარეზობაზე IV ადგილი დაიკავა, კოკი ფიფიამ კი თავის წონაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და პირველობაც მოიპოვა.

1958 წლიდან მოკიდებული, ინგირელები რაიონის უცვლელი ჩემპიონები არიან. მეჩაიეები მარტო თავიანთი ძალოსნებით როდი ამაყობენ; მათ ჰყავთ მეორეთანრიგოსანი მოკრივეები ზ. გერგედავა და ს. ბიჭია, რომელნიც ტყავის ხელთათმნის მოტრფიალეებს ავარჯიშებენ. სპორტულ ბაზებზე ძალებს ცდიან ბადროს მტყორცნელები და ბირთვის მკვრელები. მათ არ ჩამორჩებიან სროლის, ჭადრაკის, ფრენბურთის, ფეხბურთისა და მოტოსპორტის მოყვარულებიც.

ერთი კარგი ტრადიცია შეიმჩნევა ინგირელთა ცხოვრებაში. ზაფხულის სეზონში მათთან დასახმარებლად მოდიან ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნიკუმის მოსწავლეები. მასპინძლები გულღიად უთმობენ მათ ბაზებს... სტუმარ-მასპინძლები მოედნებზე ხშირად მეტოქეებად გვევლინებიან და დიდძალი მაყურებელი საინტერესო პაექრობის მოწმე ხდება ხოლმე.

სხვაც ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა შრომასა და სპორტში დაწინაურებულებზე. ერთი კია, რომ დღემდე გაწეული საქმიანობა ზღვარი არაა და სახვალიოდ უფრო მეტის გაკეთება სწადიათ მეჩაიეებს. კარგი იქნება თუ ინგირელები მეტ ყურადღებას დაუთმობენ ქალთა შორის სპორტის დანერგვას, შინაარსიანად და მიმზიდველად წარმოადგენენ თვალსაჩინო აგიტაციას... ვფიქრობთ, ეს ღონისძიებანი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინგირელ მეჩაიეთა შრომით და სპორტულ წარმატებებს.

თ. სპანდერაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).
ზუგდიდი.

კოლმეურნეობებში

# ავითვისოთ წინამორბედთა მემკვიდრეობა

ჭადრაკი

თანამედროვე საეტიუდო თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. ცოტა როდია ისეთი შედევრი, რომლებიც გვხიბლავენ როგორც მაღალი მხატვრულობით, ისე ფორმის დახვეწილობითაც. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კომპოზიტორი მუდამ ახერხებს იდეისთვის შესაფერისი ფორმის მიცემას. შეიძლება მრავლად დავასახელოთ მაგალითი, თუ როგორ ამაღლდა წარსულში თითქოსდა სრულყოფილი იდეები ახალი გაშუქების წყალობით. ჭეშმარიტი ეტიუდისტი მუდამ ძიებაშია და არადროს კმაყოფილდება მიღწეულით. ჩვენ უნდა არა მარტო შევისისხლხორცოთ წინამორბედთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა, არამედ გავამდიდროთ იგი.

ახალმა თაობამ ამ მხრივ ბევრი გააკეთა. ერთხელ მეც მომიხდა პოლონელ კომპოზიტორ ს. კოზლოვსკის შემდეგი ეტიუდის გადამუშავება.



ამოხსნა: 1. ეg7+მფ:h8 2. ეh7+მფg8 3. g7 მფ:h7 4. gfლ (ე) მოგებით.

ეტიუდი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მას ორი ნაკლი აქვს: 1) კუ უმოქმედოა, 2) ეტიუდი ამოიხსნება როგორც ეტლის, ისე ლაზიერის გაყვანით.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების ძიებაში შევძელი ეტიუდის გამდიდრება. თუ ფინალურ პოზიციაში f6-ზე დავსვამთ შავ, ხოლო f5-ზე თეთრ პაიკს, მაშინ ლაზიერის გაცოცხლებით შეუძლებელია მოგება (შავ მეფეს პატი ექნება). უმოქმედო კუ გადავსვი g1-ზე, რათა გამეძლიერებინა მისი ბრძოლისუნარიანობა. გადამუშავების შემდეგ ეტიუდმა ასეთი სახე მიიღო:



თეთრები იწყებენ და იგებენ.

ამოხსნა: 1. კe3+მფg7 2. კh6+ მფ:h6 3. ეh1+მფg7 4. ეh7+მფg8 5. g7 მფ:h7 6. gfე! მოგებით.

როგორც ხედავთ, ეტიუდმა უკეთესი სახე მიიღო. მემკვიდრეობაზე კრიტიკული მუშაობა ყოველი ეტიუდისტის ვალია. იგი შეიძლება სრულიად ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის ბიძგის მომცემიც გახდეს.

ვ. კალანდაძე,
საჭადრაკო ეტიუდისტი.

● მარსელი. [illegible] რთულ შეჯიბრებაზე მოსკოველებმა ფ. შუტკოვმა და ტ. პინეგინმა გაიმარჯვეს „ვარსკვლავის" კლასის ორჩხომელებით შეჯიბრებაში და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს მიუმატეს ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ჩემპიონის სახელი საიალქნო სპორტში.

● ამსტერდამი, 2 აგვისტო. დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. მათგან არავინ დარჩენილა მედლის გარეშე, — ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მოიპოვეს ოქროს 3 და ვერცხლის 2 მედალი. საბჭოთა ნიჩბოსნები ევროპის ჩემპიონები გახდნენ ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით, ოთხადგილიანი გასაშლელით. უძლიერესის წოდება მოიპოვა გ. კონსტანტინოვამაც, რომელიც ერთადგილიანი ნავით გამოდიოდა.

● მოსკოვი, 2 აგვისტო. დამთავრდა ხუთჭიდელთა საკავშირო ჩემპიონატი. შესანიშნავი შედეგი მოიპოვა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ერევნელმა ი. ნოვიკოვმა. მან 5.284 ქულა მოაგროვა და მეოთხედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა. თბილისელი ი. მურომცევი V ადგილზეა.

● მოსკოვი. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ტურნირი ჭადრაკის ელვისებურ თამაშში გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" პრიზზე. I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა მ. ტალმა, II — ბ. სპასკიმ.

● ბუენოს-აირესი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე დასკვნითი ტურის წინ საბჭოთა დიდოსტატებს — ტ. პეტროსიანსა და პ. კერესს 12—12 ქულა აქვთ. III ადგილზე მყოფ ამერიკელ ოსტატ ბირნს მხოლოდ 11 ქულა აქვს.

→ ზესტაფონი

კორტანეთის პიონერთა ბანაკში შეხვედრა მოუწყეს რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში რ. შავლაყაძეს. ბავშვებმა სახელოვანი სპორტსმენის პატივსაცემად გამართეს კონცერტი, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონი ბავშვებს მოუყვა თუ როგორ მიაღწია დიდ წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე და როგორ ემზადება ტოკიოს საგზურის მოსაპოვებლად.

გ. ხიჯაკაძე

# ქალაქი ოლიმპიადის გზაზე

ევროპიდან ოლიმპიადის დედაქალაქამდე ყველაზე მოკლე გზა არის ხაბაროვსკი — ტოკიო.

მძლავრი საჰაერო ხომალდი „ტუ-104" 8 საათზე ცოტა მეტს უნდება მოსკოვიდან ხაბაროვსკამდე „ნახტომს". შემდეგ სპეციალური სამგზავრო ექსპრესები მგზავრებს ჩაიყვანენ ნახოდკაში, ხოლო აქედან საოკეანო სახაზო გემები შევლენ ტოკიოს ყურეში და კურსს იაპონიისკენ აიღებენ.

ხაბაროვსკი ამჟამად გაცხოველებით ემზადება ოლიმპიადის სტუმრების მისაღებად. აეროპორტში მთავრდება ახალი სამგზავრო პავილიონისა და კაფეს აგება, ხოლო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე — შორეულ აღმოსავლეთში ყველაზე დიდი სასტუმროს — „ცენტრალნაიას" მშენებლობა.

ოლიმპიადის მსვლელობისას ხაბაროვსკელებიც გაუწევენ გულშემატკივრობას თავიანთ სპორტსმენებს. შორეულ აღმოსავლეთელმა ძალოსნებმა ხომ მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობა აალაპარაკეს. ჯერ იყო და ამ ქალაქის მკვიდრებმა ვ. კაპლუნოვმა, ვ. კურენცოვმა და ვ. გოლოვანოვმა ევროპის ჩემპიონატში დაისაკუთრეს ოქროს 3 მედალი, ხოლო ამ რამდენიმე ხნის წინ მათ „რიგებს" შეემატა რ. შუმი, რომელმაც კიევის საკავშირო ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი მოიპოვა. ხაბაროვსკელი ათლეტები ამჟამად ტოკიოში გასამგზავრებლად ემზადებიან. მე შევეკითხე მათ, თუ ვინ გაიმარჯვებს ოლიმპიადაზე.

— მეეჭვება, რომ ვ. ბაჟანოვსკიმ ტოკიოში გაიმეოროს თავისი მსოფლიო რეკორდი სამჭიდში — 430 კგ. მაგრამ მსგავს წონას ტოკიოს ფიცარნაგზე ალბათ ვიხილავთ, — თქვა ვ. კაპლუნოვმა.

— 450 კგ! ასეთი ჯამი უნდა დაგროვდეს ქვესაშუალო წონაში, — განაცხადა ვ. კურენცოვმა.

— ჩვენთვის, ქვემძიმე წონის ძალოსნებისთვის, ოლიმპიური ოქროს წონა ალბათ იქნება 490-495 კგ, — განაცხადა მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. გოლოვანოვმა.

ხაბაროვსკელები იაპონიაში წასასვლელად ემზადებიან, ხოლო ოლიმპიადის მასპინძლები — იაპონელები ახლა ამ ქალაქის ხშირი სტუმრები არიან. ხაბაროვსკისა და იაპონიის სპორტსმენთა პირველი საერთაშორისო მატჩი მოეწყო ამ რამდენიმე წლის წინ. მაშინ ამ ქალაქის ფრენბურთელმა ქალებმა ადვილად დაამარცხეს იაპონიის გუნდი. რა იცოდნენ, რომ მათი მეტოქე შემდეგ მსოფლიოში უძლიერესის სახელს მოიპოვებდა? ხაბაროვსკში იყვნენ იაპონელი მოჭიდავეები, ძიუდოისტები, ტანმოვარჯიშეები... სულ ახლახანს აქ ჩაატარა ფეხბურთის მატჩი იაპონიის ოლიმპიურმა ნაკრებმა.

აგვისტოში აქ ჩამოვა იაპონიის ქალაქ ნიიგატას მერი ბ-ნი ვატანაბე. იგი ამ ორი ქალაქის უფრო მჭიდრო კონტაქტების დასამყარებლად მოლაპარაკებას გამართავს ადგილობრივ ხელისუფლებთან. განზრახულია სპორტული შეხვედრების მოწყობაც.

ხაბაროვსკი ქალაქია ოლიმპიურ გზაზე. მისი წარგზავნილები წარმატებით გამოდიოდნენ მრავალ ქვეყანაში — კუბაში, გდრ-ში, ფინეთში, შვეციაში, უნგრეთში, ბულგარეთში, მონღოლეთში, ჩინეთში. ივლისის ბოლოს აქ ჩატარდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოკრივეთა ჩემპიონატი. შორეული აღმოსავლეთის რინგზე განაწილდა 1964 წლის ოლიმპიადის დედაქალაქ ტოკიოში გასამგზავრებელი ბილეთები.

ა. კოლესნიკოვი,
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.

# ფეხბურთის მიმომხილველი

## ინტერვიუ მატჩის შემდეგ

თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. კიეველი ჟურნალისტების აზრით, წლევანდელ სეზონში უკრაინის დედაქალაქში ჩატარებულ არც ერთ შეხვედრას არ გამოუწვევია ასეთი აჟიოტაჟი.

მატჩის დაწყებას წუთები აკლდა. პრეს-ლოჟაში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა. 18 სპორტული ჟურნალისტი გამოთქვამს პროგნოზს. მათ შორის 16-მა უპირატესობა კიევის „დინამოს“ მიაკუთვნა...

თამაში დამთავრდა.

— რა აზრისა ხართ დღევანდელ მატჩზე? — ამ კითხვით მივმართეთ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეს ნ. რიაშენცევს, მატჩის არბიტრს — საკავშირო კატეგორიის მსაჯს კ. ანძიულისსა და გუნდების მწვრთნელებს — ვ. მასლოვს და გ. კაჩალინს. აი, რა გვიპასუხეს მათ.

**ნ. რიაშენცევი:** ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეხვედრის პირველმა ნახევარმა. მასპინძლებს შეეძლოთ მოგება, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს კარის აღების რამდენიმე რეალური შესაძლებლობა. პირველ ტაიმში თბილისელებმა სუსტად ითამაშეს. ეს განსაკუთრებით ეხება ნახევარდაცვას, რომელმაც მოედნის შუაგულის კონტროლი მთლიანად კიეველებს „გადააბარა“. თბილისელი თავდამსხმელები, ჩემის აზრით, ბევრს ცოდავდნენ ბურთის ტარებით. მეორე ტაიმში ქართველი ფეხბურთელების თამაშით დიდი სიამოვნება მივიღეთ. აი, ეს არის ფეხბურთი...

და კიდევ ერთი. შესვენების დროს ნ. რიაშენცევთან ერთად მკაცრად გავაფრთხილეთ ოსტროვსკი და მედვიდი, რომლებიც თბილისელ თავდამსხმელებთან, განსაკუთრებით კი მეტრეველთან ორთაბრძოლის დროს ხშირად მიმართავდნენ აკრძალულ ილეთებს. გაფრთხილების შემდეგ ისინი კორექტულად თამაშობდნენ.

**ვ. მასლოვი:** შეხვედრის შედეგით უკმაყოფილო ვარ. ვერიგინს პირველ ტაიმში ორი გოლი უნდა გაეტანა. ასე რომ მომხდარიყო, თამაშს მოვიგებდით. ჩემის აზრით, თბილისელებმაც ცუდად ითამაშეს...

**გ. კაჩალინი:** ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გადავეჩვიეთ ბურთის ზედმეტ ტარებას, ზედმეტ გადაცემებს, უსარგებლო დრიბლინგს. ყოველივე ეს უხვად იყო პირველ ტაიმში. არასწორად ითამაშა ჩვენმა ნახევარდაცვამ, განსაკუთრებით იამანიძემ. პირველი ტაიმი ჩატარდა ისე, როგორც ეს უნდოდათ... კიეველებს. მაშინაც კი, როცა შესვენების შემდეგ ჩვენ ბურთი გავიტანეთ, თვითონვე გავუშვით ხელიდან ინიციატივა. ასეთი „გულუხვობა“ თუ მომავალშიაც გაგრძელდება, ეს ძვირად დაგვიჯდება...

**კ. ანძიულისი:** ასეთი დაძაბული მატჩების მსაჯობა ძალზე ძნელია. მე და ჩემი კოლეგები — ბერეტა და კოზლაუსკასი ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებით მოვემზადეთ. უნდა გითხრათ — ადამიანი მსაჯობის დროს მატჩს მხოლოდ არბიტრის თვალით უყურებს. ამ პოზიციიდან თამაში შედარებით უინტერესო მომეჩვენა. ორივე გუნდს კარგად ვიცნობ. ეს მათი თამაში არ იყო. მატჩის შედეგი ლოგიკურია.

## შეიძლებოდა თამაშის მოგებაც კი...

კიეველთა შემადგენლობის გადასინჯვისას დავრწმუნდით, რომ მათ გარკვეული სიფრთხილე ამოქმედებდათ თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრის წინ. გუნდი სათამაშოდ გამოვიდა 3 ნახევარმცველით და მისი საერთო სისტემა გამოიყურებოდა ასე: 4+3+3.

უნდა ითქვას, კიეველებმა თავიანთი გეგმა კარგად შეასრულეს პირველ ტაიმში და მიაღწიეს საერთო უპირატესობას მინდვრის ცენტრში. მაგრამ ამ ამოცანის შესრულებაში გარკვეული როლი ითამაშა თბილისელთა დაცვისა და ნახევარდაცვის არასწორმა მოქმედებამაც. ცალკეული ფეხბურთელები ზედმეტად აჩერებდნენ ბურთს, კარგავდნენ ტემპს, გადაცემები არ იყო ზუსტი. გარდა ამისა, შეტევის წარმოებისას კიეველთა ერთი ფორვარდი მუდამ რჩებოდა თავისუფალ პოზიციაში, რაც გუნდს საშუალებას აძლევდა ხანგრძლივად გაეთამაშებინა ბურთი. გოლი კიეველებმა სწორედ ასე გაიტანეს, როცა პეტრიაშვილს მხედველობიდან გამორჩა ვერიგინის მანევრი და ამ უკანასკნელმა შეუფერხებლად შეძლო გადამწყვეტი დარტყმის შესრულება (მანამდე, მე-4 წუთზე ბარქაიამ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა).

ნამდვილი ნადირობა გამართეს კიეველთა მოთამაშეებმა ოსტროვსკიმ და მედვიდმა მეტრეველის მიმართ და ჩვენი ექიმი ზ. თელია წამდაუწუმ გამორბოდა მინდორზე დახმარების აღმოსაჩენად. მეტრეველმა ამოისუნთქა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსაჯმა შესვენების დროს საგანგებოდ გააფრთხილა კიეველები.

მთლიანად შეიცვალა ბრძოლის სურათი მეორე ტაიმში. თბილისელები გაცილებით უკეთ და გეგმიანად ასრულებდნენ მწვრთნელის მითითებებს და ინიციატივამაც დაუყოვნებლივ მათს მხარეს გადაინაცვლა. სულ სხვა იყო ტემპი, მოწესრიგდა თამაში უკანა ხაზებში, თავდასხმა დაიძრა წინ და კიეველთა კარი განუწყვეტელი შტურმის ობიექტად იქცა. ის გოლი, რომელიც მეტრეველის, იამანიძისა და დათუნაშვილის კომბინაციის შედეგად იქნა გატანილი, მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი შესაძლებლობებისა. მასპინძლები ძლივს იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს და თბილისელებს ნაადრევად რომ არ შეენელებინათ შეტევა საკუთარი დაცვის გაძლიერების მიზნით, ვფიქრობ, შეიძლებოდა გადამწყვეტი ბურთის გატანაც.

საუკეთესოდ გაართვა თავი ამ რთულ მატჩს კაუნასელმა მსაჯმა კ. ანძიულისმა.

**დ. ციმაია,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

კიევი.

## პირველი 2 ქულა

თბილისის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე გასულ კვირას დაიწყო პროფტექნიკური სასწავლებლების IX საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური ტურნირი ფეხბურთში.

პირველი დღის ტურში ყურადღების ცენტრში იდგა საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრა. ანგარიში მე-15 წუთზე გახსნეს მასპინძლებმა. გოლის ავტორი იყო მარცხენა გარემარბი მეძლიშვილი, რომელიც დრიბლინგით შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი დაბალ კუთხეში — 1:0.

გაშვებული ბურთის შემდეგ აზერბაიჯანელებმა მთელი ყურადღება დაცვას დაუთმეს, — თავდასხმაში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დატოვეს. ამ შეცდომით კარგად ისარგებლა საქართველოს გუნდმა და მთელი ფრონტით შეუტია მეტოქეს. 32-ე წუთზე ცენტრალურმა თავდამსხმელმა შეყრილაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო, შემდეგ ჯაიანმა ანგარიში სამამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში სტუმრებმა შეცვალეს ტაქტიკა, თამაში გაათანაბრეს და ერთ-ერთი შეტევა გოლითაც დაამთავრეს — 1:3, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. მასპინძლებმა თამაშის დამთავრებამდე კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს (ჯაიანი) და მოიგეს შეხვედრა — 4:1.

მეორე მატჩში სომხეთის გუნდმა ასევე დიდი ანგარიშით — 4:0 დაამარცხა თურქმენეთის ნაკრები.

ტურნირი გრძელდება...

**ჯ. ვაჩიბერიძე**

### მეკარისა და თავდამსხმელის ორთაბრძოლა



განვლილ მატჩში ქუთაისის „ტორპედოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის დიდი დატვირთვა დააწვა სტუმრების მეკარეს ი. კოროტკიხს. სურათზე: „შახტიორის“ მეკარე ტორპედოელ ა. ავალიანთან (№ 7) ბრძოლის დროს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

## ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩის დროს ბაქოს რესპუბლიკურ სტადიონზე არ იყო სათანადო წესრიგი. „შახტიორის“ მიერ გატანილი გოლის შემდეგ „ნეფტიანიკის“ მოთამაშეებმა პროტესტი გამოხატეს, რასაც სათანადო რეაქცია მოჰყვა ტრიბუნებზეც. ყოველივე ამის გამო მატჩი გაჭირვებით იქნა მიყვანილი ბოლომდე.

ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა დისკვალიფიცირებულ იქნას ბაქოს მინდორი ერთი თამაშით და „ნეფტიანიკი“ მორიგ მატჩს საკუთარის ნაცვლად ნეიტრალურ სტადიონზე ჩაატარებს. ასეთივე სასჯელი იქნა მიღებული აშხაბადის „სტროიტელის“ მინდვრის მიმართ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის ფედერაციას იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირისა და გდრ-ის ოლიმპიური გუნდების მატჩში მსაჯი იძულებული იყო გაფრთხილებები მიეცა საბჭოთა გუნდის წევრების — სევიდოვის, ფადეევისა და სერებრიანიკოვისთვის.

პრეზიდიუმმა მიიღო ასეთი დადგენილება: გამოეცხადოს საყვედური სევიდოვს და გამოყვანილ იქნას ნაკრებიდან. ასევე გამოყვანილია ნაკრებიდან ფადეევი, ხოლო სერებრიანიკოვი გათავისუფლებულია გუნდის კაპიტნობიდან.

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის თხოვნა — მიეცეთ უფლება საბჭოთა ფეხბურთელებს — ლ. იაშინსა და ვ. ვორონინს მონაწილეობა მიიღონ 21 ოქტომბრის მატჩში ევროპისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, ამ თამაშის მთელი შემოსავალი გადაეცემა ქ. სკოპლეს მცხოვრებლებს, რომლებიც დაზარალდნენ მიწისძვრისაგან. ორივე ფეხბურთელს ნება დაერთო ამ მატჩში მონაწილეობაზე.

### „დინამო“ (სოხუმი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 0:2

**სოხუმი,** 2 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს მაიკოპის „უროჟაი“.

სოხუმელები, სამწუხაროდ, ძალზე ცუდად ატარებენ ბოლო მატჩებს და ამ მხრივ გამონაკლისს არც აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენდა. გუნდში არ იგრძნობა კოლექტივიზმი, რწმენა საკუთარ ძალებში...

მას შემდეგ, რაც ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, „დინამოს“ მიეცა საპასუხო გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ფიფიამ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო. სამაგიეროდ, როცა პენალტი დაინიშნა მასპინძელთა კარში, „უროჟაიმ“ ბურთი გაიტანა და გაიმარჯვა კიდეც.

**ლ. ანდრონიკაშვილი**

### „კოლხიდა“ (ფოთი) — „შრომითი რეზერვები“ (კავმინვოდი) 1:0

**ფოთი,** 2 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ბოლო ტურებში განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ ფოთელმა ფეხბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს მატჩში, სადაც მათი მეტოქე იყო კავმინვოდის „შრომითი რეზერვები“.

გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, მე-16 წუთზე იქნა გატანილი. ა. ივანოვმა (ადრე იგი თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა) კარგად გაიყვანა გარღვევაზე ხოფერია და ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში.

შესვენების შემდეგ „კოლხიდის“ თავდამსხმელები (აქ კარგი თამაშით გამოირჩეოდა მარცხენა გარემარბი ალმასია) ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა რეალიზებული. ფოთელები დაჯერდნენ მინიმალურ ანგარიშს.

**ა. ლომაია**

## „ბ“ კლასი

### „დინამო“ (ბათუმი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 3:0

**ბათუმი,** 2 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ბათუმის დინამოელები თანდათან ინაზღაურებენ იმ დანაკლისს, რომელიც მათ განიცადეს ბოლო გასვლით მატჩებში. ამჯერად, დიდი ანგარიშით იქნა მოგებული მატჩი ნოვოროსიისკის „ცემენტთან“, თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, ჩვენი გუნდის თამაში ჯერ კიდევ ვერ ტოვებს ისეთ დამაჯერებელ შთაბეჭდილებას, როგორც ადრე.

პირველი ბურთი გატანილ იქნა შესვენებამდე: ფუტკარაძის მოწოდებას კარგად შეურჩია ადგილი ქელივიძემ და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე „ცემენტის“ ერთ-ერთი საპასუხო შეტევისას მასპინძელთა კარი აშკარა გოლისგან ძელმა იხსნა.

ასეთივე სახიფათო მომენტი შეიქმნა „დინამოს“ საჯარიმო მოედანზე მეორე ტაიმის დასაწყისში და მასპინძლები იძულებული იყვნენ მთელი ძალებით ჩაბმულიყვნენ თამაშში. 30-ე წუთზე დიმანოვმა კარის წინ გაიყვანა დანელია და ამ უკანასკნელმა მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. გავიდა 1 წუთი და იმავე დანელიამ მესამე ბურთი გაიტანა „ცემენტის“ კარში.

**ვ. მოხეშვილი**

### ფრე და წაგება

გურჯაანის „ალაზანს“ და რუსთავის „მეტალურგს“ 2 აგვისტოს გასვლითი მატჩები ჰქონდათ მეტოქეთა მინდვრებზე.

„ალაზანმა“ ფრედ ითამაშა ბაქოს „დინამოსთან“ — 2:2, ხოლო „მეტალურგმა“ დამარცხება განიცადა გროზნოში ადგილობრივი „თერგისგან“ — 0:3.

## საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში

### კალენდარი

5 აგვისტოს იწყება საქართველოს სსრ თასის გათამაშება ფეხბურთში. ვათავსებთ გათამაშების საბოლოო ეტაპის ცხრილს, რომელშიც მონაწილეობენ წინასწარ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები.



# ფეხბურთის მისნებისთვის

## „ა“ კლასი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 აგვისტოსათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 16 | 9 | 5 | 2 | 33—11=+22 | 23 |
| „დინამო“ (თბილისი) | 17 | 9 | 5 | 3 | 22—13=+ 9 | 23 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 17 | 9 | 4 | 4 | 23—12=+11 | 22 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 17 | 7 | 7 | 3 | 22—13=+ 9 | 21 |
| სკა (როსტოვი) | 16 | 9 | 2 | 5 | 25—13=+12 | 20 |
| ცსკა | 16 | 7 | 6 | 3 | 22—12=+10 | 20 |
| „დინამო“ (კიევი) | 17 | 6 | 8 | 3 | 23—17=+ 6 | 20 |
| „დინამო“ (მინსკი) | 16 | 4 | 9 | 3 | 8—7 =+ 1 | 17 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 18 | 4 | 7 | 7 | 10—23=—13 | 15 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 15 | 4 | 6 | 5 | 13—11=+ 2 | 14 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 17 | 4 | 6 | 7 | 15—18=— 3 | 14 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 17 | 4 | 5 | 8 | 11—18=— 7 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 16 | 3 | 7 | 6 | 6—16=—10 | 13 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 17 | 5 | 3 | 9 | 9—21=—12 | 13 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 16 | 4 | 4 | 8 | 13—28=—15 | 12 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 16 | 4 | 3 | 9 | 9—18=— 9 | 11 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 16 | 2 | 5 | 9 | 11—24=—13 | 9 |

* * *

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 5:0.
„შინიკი“ — „ნეფტიანიკი“ 1:0.
„ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

### II ჯგუფი, II ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 21 | 10 | 9 | 2 | 25—12=+13 | 29 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 20 | 9 | 7 | 4 | 27—15=+12 | 25 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 21 | 9 | 7 | 5 | 22—18=+ 4 | 25 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 21 | 8 | 6 | 7 | 29—22=+ 7 | 22 |
| „არარატი“ (ერევანი) | 21 | 6 | 10 | 5 | 19—13=+ 6 | 22 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 21 | 7 | 8 | 6 | 18—23=— 5 | 22 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 20 | 9 | 3 | 8 | 30—26=+ 4 | 21 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 20 | 5 | 11 | 4 | 14—10=+ 4 | 21 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 21 | 7 | 6 | 8 | 19—25=— 6 | 20 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 21 | 7 | 5 | 9 | 20—22=— 2 | 19 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 21 | 8 | 3 | 10 | 18—23=— 5 | 19 |
| „დინამო“ (ტალინი) | 20 | 4 | 8 | 8 | 17—21=— 4 | 16 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 21 | 5 | 5 | 11 | 21—37=—16 | 15 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 21 | 2 | 10 | 9 | 8—20=—12 | 14 |

განვლილ კვირას თბილისის „ლოკომოტივი“ თამაშობდა დნეპროპეტროვსკში, სადაც მისი მეტოქე იყო ადგილობრივი „დნეპრი“.
მატჩი მოიგო „დნეპრმა“ — 3:0.

* * *

„ტრაქტორი“ — „ურალმაში“ 1:0.
„მეტალურგი“ — „არარატი“ 0:0.
„კარპატი“ — სკა 5:2.
„დინამო“ (ტ) — „სპარტაკი“ (გ) 0:0.
„ლოკომოტივი“ (მ) — „ტრუდი“ 4:1.

## თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა პროტესტი დააკმაყოფილეს

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა გუნდის პროტესტი იმის გამო, რომ მათთან შეხვედრაში ქუთაისელ ტორპედოელთა რიგებში თამაშობდა განუცხადებელი ფეხბურთელი ებრალიძე.

კომისიამ დააკმაყოფილა თბილისის გუნდის პროტესტი, გააუქმა ამ მატჩის შედეგი (1:0 — ქუთაისელთა სასარგებლოდ) და „ტორპედოს“ წაგება ჩაუთვალა.

## 15 საკავშირო რეკორდი

ირკუტსკი, 3 აგვისტო. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს 500 მეტრზე ადგილიდან გიტში (ქალთა შორის) პირველი ადგილი დაიკავა უკრაინელმა კირიჩენკომ. მისი შედეგი — 38,0 ახალი საკავშირო რეკორდია.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა რბოლა 100 წრეზე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა მოსკოველი მინკო — 1:10.51,8. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ნიშნიანიძე 30 ფინიშის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ უკანასკნელ სამ ფინიშზე მას კოლიუშევმა და ზაიცევმა გადაუსწრეს. საბოლოოდ, ნიშნიანიძე IV ადგილზე გამოვიდა. მსაჯთა კოლეგიამ II ადგილი შეცდომით მიაკუთვნა ტულელ ვ. ზაიცევს, რის გამოც კოლიუშევს დარჩა ბრინჯაოს მედალი.

5 [illegible] (ადგილიდან) ტულელმა ტერეშჩენკომ სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 6.19,9. წინა დღით ახალგაზრდა ჩერნოგლაზოვის მიერ დამყარებულმა რეკორდმა მხოლოდ 24 საათს იარსება.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა წინასწარი შეჯიბრებები ტანდემებით სპრინტერულ რბოლაში. საქართველოს გუნდის წევრმა იუხნევიჩმა და ფრუნზელმა ტონკონოგმა წააგეს ბოდნიექსსა და ხიტროვთან. ჩვენი გუნდის მეორე წევრი შაინოვი და მოსკოველი მალიხი დამარცხდნენ იშკოვსა და სტრომოვთან.

ხუთ დღეში ირკუტსკის ტრეკზე სულ 15 საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა, მათ შორის ერთი (ვ. ლოგუნოვისა — 500 მ გიტში სვლით — 29,4) ახალი მსოფლიო მიღწევაა.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონის ტერიტორიაზე 2 აგვისტოს გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის პირადი პირველობის გათამაშება კარტინგებით ასპარეზობაში. 40-კილომეტრიან, ძალიან რთული პროფილის ტრასაზე რბოლებში გამოვიდნენ ორი კლასის — 125 კბ სმ და 175 კბ სმ მანქანები.

125 კბ სმ კარტინგებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა თბილისის ნავთობის ბაზის უფროსმა მექანიკოსმა ი. კრონოვმა, ხოლო მეორე კლასში ჩემპიონი გახდა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემდუღებელი ვ. ფეხლევანიანი.



ს უ რ ა თ ზ ე: რბოლის ერთ-ერთი მომენტი.

## საბჭოთა სტუდენტები — ჩემპიონები

პოლონეთის ძველი ქალაქი კრაკოვი თითქმის ორი კვირაა მასპინძლობდა სტუდენტ-მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური პირველობის მონაწილეებს. ახალგაზრდები (მხოლოდ 27 წლამდე!) შეუპოვრად იბრძოდნენ ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის.

მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა, რომელმაც 31,5 ქულა მოაგროვა 44-დან. გუნდში იყვნენ გ. ანოშინი (ნოვოსიბირსკი), ა. კაპენგუტი (მინსკი), ე. მნაცაკანიანი (ერევანი), რ. პელცი (ოდესა), ვ. სავონი (ხარკოვი) და გ. ხოდოსი (როსტოვი). გუნდს წვრთნიდნენ დიდოსტატი ი. ბონდარევსკი და საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი.

ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ წინა პირველობების ცხრილს:

1952 წ. საერთაშორისო ტურნირი. ლივერპული. 1-2. ბრონშტეინი, ტაიმანოვი.

1953 წ. საერთაშორისო ტურნირი, ოსლო, სსრ კავშირი არ მონაწილეობდა.

1954 წ. I ჩემპიონატი. ოსლო. 1. ჩეხოსლოვაკია, 2. სსრ კავშირი.
1955 წ. II ჩემპიონატი. ლიონი. 1. სსრ კავშირი.
1956 წ. III ჩემპიონატი. უპსალა. 1. სსრ კავშირი.
1957 წ. IV ჩემპიონატი. რეიკიავიკი. 1. სსრ კავშირი.
1958 წ. V ჩემპიონატი. ოქროს ქვიშა (ბულგარეთი). 1. სსრ კავშირი.
1959 წ. VI ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. 1. ბულგარეთი, 2. სსრ კავშირი.
1960 წ. VII ჩემპიონატი. ლენინგრადი. 1. აშშ, 2. სსრ კავშირი.
1961 წ. VIII ჩემპიონატი. ჰელსინკი, 1. სსრ კავშირი.
1962 წ. IX ჩემპიონატი. მარიანსკე-ლაზნე. 1. სსრ კავშირი.
1963 წ. X ჩემპიონატი. ბუდვა (იუგოსლავია). 1. ჩეხოსლოვაკია, 2. იუგოსლავია, 3. ბულგარეთი, 4. სსრ კავშირი.
1964 წ. XI ჩემპიონატი. კრაკოვი. 1. სსრ კავშირი.

## კლეი — ლისტონის ახალი მატჩი

უკვე მეოთხე თვეა მიმდინარეობს მოლაპარაკება კასიუს კლეისა და სონი ლისტონის მომავალი მატჩის გამართვაზე. როგორც ცნობილია, კლეიმ თავდაპირველად უარი თქვა ყოველგვარ მატჩ-რევანშზე. მაშინ ამერიკის პროფესიული კრივის ასოციაციამ ყადაღა დაადო მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ჰონორარს. ასეთმა მკაცრმა ზომამ კლეის სიჯიუტე გატეხა და მან თავის მენაჯერს თანხმობა მისცა მოლაპარაკების დაწყებაზე.

მოპირდაპირე მხარეები ოთხი თვის მანძილზე ვერ მორიგდნენ. და აი, სულ რაღაც სამი-ოთხი დღის წინ ცნობილი გახდა, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. მატჩ-რევანში გაიმართება 15 სექტემბერსა და 31 ოქტომბერს შორის.

## ლიმის სტადიონზე განახლდა თამაშები

ხანგრძლივი დროის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ტრაგიკული ამბებით, პერუს დედაქალაქ ლიმაში კვლავ გაიღო ეროვნული სტადიონის ჭიშკარი. 35 ათასი მაყურებელი დაესწრო ადგილობრივი კლუბის „სპორტინგ კრისტალის“ მატჩს ესპანეთის „ბარსელონასთან“, თამაშის შედეგია 2:2.

## ნიუ-იორკის ტურნირის ფინიში

ნიუ-იორკის ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდა ფეხბურთის 10 კლუბი, რომლებიც ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ერთ-ერთ ქვეჯგუფში გაიმარჯვა დასავლეთ გერმანიის „ვერდერმა“ (ბრემენი), რომელმაც გაუსწრო ისეთ გუნდებს, როგორიცაა ბრაზილიის „ბაია“, იტალიის „ლანეროსი“ და შოტლანდიის „ჰარტსი“. მეორე ქვეჯგუფში გაიმარჯვა პოლონეთის „ზაგლემბემ“.

დებულების შესაბამისად, ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს ორჯერ უნდა შეხვდნენ. პირველ მატჩში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს პოლონელებმა—4:0. მეორე შეხვედრის შემდეგ გამარჯვებული გუნდი 5 და 9 აგვისტოს ნიუ-იორკში შეხვდება პრაღის „დუკლას“ — ნიუ-იორკის ტურნირის თასის მფლობელს.

## ალფოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით...

▲ **ავსტრია.** იმის გამო, რომ ფეხბურთის სეზონი ძალზე გადატვირთულია, ავსტრიის ეროვნულმა ფედერაციამ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რიცხვი 12-მდე დაიყვანა.

▲ *მ ი ლ ა ნ ი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ ნაკრები გუნდის მწვრთნელად ფაბრი დანიშნოს. ფაბრის ამას წინათ ესაუბრნენ კორესპონდენტები. მწვრთნელმა განაცხადა, რომ თუ იგი მართლაც დანიშნეს, ნაკრებში შემდეგი მოთამაშეები შევლენ: ნეგრი, სარტი, ფურლანისი, ფაკეტი, სალვადორე, იანიჩი, გუარნერი, რივერა, მაცოლა, მალდინი, პასკუტი, ბულგარელი, ტრაპატონი, მორო და კორსო. როგორც ხედავთ, ფაბრი არ ღალატობს თავის „სკუადრა აძურას“.*

▲ პ ა რ ი ზ ი. „მონაკოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანმა ივონ დუისმა დაიწყო მოლაპარაკება სანტიაგო ბერნაბეუსთან „რეალში“ გადასვლის თაობაზე. ფიქრობენ, რომ „რეალის“ მეცენატი იყიდის ამ ნიჭიერ ფეხბურთელს.

▲ **ფლორენცია.** ალფრედო დი სტეფანომ სამუდამოდ დატოვა ესპანეთი. იგი ერთ ხანს ნიცაში ცხოვრობდა, შემდეგ კი გადავიდა ფლორენციაში, სადაც ცხოვრობს მისი ბავშვობის მეგობარი, ლუის კარნიოლი. შესაძლებელია დი სტეფანო საცხოვრებლად იტალიაში დარჩეს.

▲ *კ ი ნ გ ს ტ ო ნ ი. ცნობილმა იამაიკელმა ტორეადორმა პერსი ხაილსმა შეიცვალა პროფესია და გახდა პროფესიული მოკრივე. ამას წინათ მან ქულებით დაამარცხა ამერიკელი პაულ არმსტრონგი.*

▲ **ბუდაპეშტი. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გროშიჩი უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით დაინიშნა „შალგოტარიანის“ მწვრთნელად.**

▲ **ვარშავა.** პოლონეთის კრივის ფედერაციამ შეარჩია 30 მოკრივე, რომლებიც ოლიმპიურ სამზადისს გაივლიან ტატრებში.

▲ **ლოს-ალტოსი** (კალიფორნიის შტატი). **2 აგვისტო.** კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი მოიხსნა აშშ-ის ჩემპიონატზე ცურვაში. 18 წლის დონ შოლანდერმა 200 მ თავისუფალი სტილით გაცურა 1.57,6, რითაც 0,6 წამით გააუმჯობესა ხ. კლეინის (გფრ) მიღწევა. 17 წლის გოგონამ მარლინ რამენოვსკიმ აგრეთვე თავისუფალი სტილით 400 მ დაძლია 4.41,7. წინანდელი რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია 0,3 წამით.

## მეორე შეხვედრა — ფრე

**სტამბოლი.** აქ გაიმართა თურქეთისა და სსრ კავშირის (II ნაკრები) თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მეორე ასპარეზობა.

თავდაპირველად წინ გავიდნენ მასპინძლები: ბაქოელმა ა. კვორკოვმა წააგო მ. ესენჯელისთან, ხოლო ორჯონიკიძელმა ე. თედეევმა—ჰ. სევინჩთან. შემდეგი ორი წყვილის შერკინება (კიეველი შ. ტუგანოვი—ა. აგრალი, მახაჩყალელი ი. შახმურადოვი—მ. ჯიველენი) დამთავრდა ფრედ.

ჩვენს ნაკრებს პირველი ქულა შეძინა მინსკელმა ნ. აქსიონოვმა, რომელმაც მოუგო ჰ. გირსოს. მახაჩყალელმა კ. აგაევმა ფრედ იჭიდავა ა. აიკთან.

თბილისელმა შ. ლომიძემ პირველ შეხვედრაში წაგების რევანში აიღო—დაამარცხა „ძველი ნაცნობი“ — ი. თოფჩუ. ქვემძიმე წონის ათლეტი ა. აიხანოვი (ალმა-ატა) ამჯერად მძიმე წონაში გამოვიდა. მისი შეხვედრა თურქეთის ჩემპიონ (ეროვნულ ჭიდაობაში) ა. იაგისთან ფრედ დამთავრდა.

მატჩის საბოლოო შედეგია 4:4.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11280